



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო  
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

**ბრძანება N 29**

ქ. თბილისი

25/01/2017

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით განსახორციელებელი პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, აგრეთვე, სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის, ნაპირდაცვის შესასრულებელი სამუშაოების განხორციელების მიზნით საპროექტო დავალების გაცემის და საპროექტო დოკუმენტაციის მიღების წესისა და აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის თაობაზე**

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ და „ქ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) დაკვეთით განსახორციელებელი პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, აგრეთვე, სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის, ნაპირდაცვის შესასრულებელი სამუშაოების განხორციელებისათვის, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად, განისაზღვროს საპროექტო დავალების გაცემისა და საპროექტო დოკუმენტაციის მიღების წესი და აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები.

2. ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების კონტროლი განახორციელოს დეპარტამენტის თავმჯდომარის ინდივიდუალურ

ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განსაზღვრულმა პირ(ებ)მა, უშუალო საკურატორო სფეროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დაქვემდებარების შესაბამისად, რაც უნდა დადასტურდეს მათი ხელმოწერით.

3. დეპარტამენტის დაკვეთით, საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ფინანსური ანგარიშსწორებისათვის დაცულ უნდა იქნეს ამ ბრძანებით და ბრძანების დანართით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების წესი.

4. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით განსახორციელებელი პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, აგრეთვე, სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის, ნაპირდაცვის შესასრულებელი სამუშაოების განხორციელების მიზნით საპროექტო დავალების გაცემის და საპროექტო დოკუმენტაციის მიღების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 25 აპრილის №81 ბრძანება.

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გიორგი სეთურიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, აგრეთვე, სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის, ნაპირდაცვის შესასრულებელი სამუშაოების განხორციელების მიზნით საპროექტო დავალების გაცემის და საპროექტო დოკუმენტაციის მიღების წესი და აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები

### მუხლი 1. საპროექტო დავალების გაცემის წესი და მიზნები

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, აგრეთვე, სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის, ნაპირდაცვის შესასრულებელი სამუშაოების განხორციელების მიზნით საპროექტო დავალების გაცემის და საპროექტო დოკუმენტაციის მიღების წესი და აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები (შემდგომში - წესი) არეგულირებენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) დაკვეთით პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, აგრეთვე, სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის, ნაპირდაცვის შესასრულებელი სამუშაოების განხორციელების მიზნით საპროექტო დავალების გაცემის და საპროექტო დოკუმენტაციის მიღების პროცედურას და განსაზღვრავს აღნიშნული ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს.

2. დეპარტამენტის დაკვეთით პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, აგრეთვე, სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის, ნაპირდაცვის შესასრულებელი სამუშაოების (შემდგომში - სამუშაოები) განხორციელების მიზნით საპროექტო დავალება გაიცემა დეპარტამენტსა და საპროექტო კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

3. საპროექტო დავალებას ერთობლივად ამზადებენ დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფები, კომპეტენციის ფარგლებში.

4. საპროექტო დავალებაში ამომწურავად უნდა აისახოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ ნებართვებისა და პროცედურების შესახებ, რაც აუცილებელია საპროექტო დოკუმენტაციის

მომზადებისთვის, აგრეთვე, უნდა განისაზღვროს სამუშაოების სრულყოფილად განხორციელებისათვის საჭირო სხვა საკითხები.

5. საპროექტო დავალებას ხელს აწერენ საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკური სამსახური, განსახლების სამსახურის და გარემოს დაცვის სამსახურის უფროსები, მათი არ ყოფნის შემთხვევაში - შესაბამისი სამსახურის უფროსის მოადგილეები ან მათი მოვალეობის შემსრულებლები, რომლითაც ისინი ადასტურებენ საპროექტო დავალების სისწორეს, მათ შორის, ინფორმაციას, ასახულია თუ არა საპროექტო დავალებაში ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ყველა გარემოება.

### **მუხლი 2. დეპარტამენტის საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის ვალდებულება საპროექტო დავალებასთან მიმართებაში**

1. დეპარტამენტის საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის უფროსი (მისი არ ყოფნის შემთხვევაში სამსახურის უფროსის მოადგილე ან მოვალეობის შემსრულებელი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია, საპროექტო დავალებაში უზრუნველყოს სამუშაოებისათვის საჭირო ყველა კონსტრუქციული, ამ წესით განსაზღვრული და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საკითხების ასახვა.

2. დეპარტამენტის საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის უფროსი (მისი არ ყოფნის შემთხვევაში სამსახურის უფროსის მოადგილე ან მოვალეობის შემსრულებელი) საპროექტო დავალების გაცემისას ხელმოწერით ადასტურებს ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული საკითხების სისწორეს.

### **მუხლი 3. დეპარტამენტის განსახლების სამსახურის ვალდებულება საპროექტო დავალებასთან მიმართებაში**

1. დეპარტამენტის განსახლების სამსახურის უფროსი (მისი არ ყოფნის შემთხვევაში სამსახურის უფროსის მოადგილე ან მოვალეობის შემსრულებელი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია, საპროექტო დავალებაში უზრუნველყოს განსახლებასთან დაკავშირებული, ამ წესით განსაზღვრული და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საკითხების სრულყოფილად ასახვა.

2. დეპარტამენტის განსახლების სამსახურის უფროსი (მისი არ ყოფნის შემთხვევაში მოადგილე) საპროექტო დავალების გაცემისას ხელმოწერით ადასტურებს ამ წესის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საკითხების სისწორეს.

### **მუხლი 4. დეპარტამენტის გარემოს დაცვის სამსახურის ვალდებულება საპროექტო დავალებასთან მიმართებაში**

1. დეპარტამენტის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსი (მისი არ ყოფნის შემთხვევაში სამსახურის უფროსის მოადგილე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია, საპროექტო

დავალებაში უზრუნველყოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული, ამ წესით განსაზღვრული და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საკითხების სრულყოფილად ასახვა.

2. დეპარტამენტის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსი (მისი არ ყოფნის შემთხვევაში მოადგილე ან მოვალეობის შემსრულებელი) საპროექტო დავალების გაცემისას ხელმოწერით ადასტურებს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საკითხების სისწორეს.

#### **მუხლი 5. გაცემული საპროექტო დავალების შესაბამისად შესრულებული საპროექტო დოკუმენტაციის მიღების წესი**

1. საპროექტო კომპანიის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენისას ხორციელდება საპროექტო დოკუმენტაციის შემოწმება და მიღება.

2. დეპარტამენტის საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკური სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებს საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობას საპროექტო დავალებასთან და ამ წესით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან, რასაც ადასტურებს მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით.

3. დეპარტამენტის განსახლებისა და გარემოს დაცვის სამსახურები თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებენ საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობას საპროექტო დავალებასთან და ამ წესით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან, რასაც ადასტურებენ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით.

4. დეპარტამენტის დაკვეთით პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის, აგრეთვე სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის, ნაპირდაცვის შესასრულებელი სამუშაოების განსახორციელებლად საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად აუცილებელია დეპარტამენტში წარმოდგენილ იქნეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც ხელმოწერილი და დადასტურებული უნდა იყოს ამ წესის შესაბამისად.

5. საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტზე ამ წესის მე-2-მე-4 მუხლებით განსაზღვრული სამსახურის უფროსის (მისი არ ყოფნის შემთხვევაში სამსახურის უფროსის მოადგილის ან მოვალეობის შემსრულებლის) ხელმოწერით დასტურდება, რომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაცია კომპანიის მიერ წარმოდგენილია საპროექტო დავალების შესაბამისად და მასში ასახულია ყველა საჭირო გარემოება.